



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

აბაშა, 2019 წლის 22 თებერვალი

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგინდეს თანდართული აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მუხლი 2.

დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №7 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

მ. კვიტაშვილი

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

ქალაქ აბაშისათვის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი „ITL“ განისაზღვროს 1-ით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მარეგულირებელი კოეფიციენტი „K“-140-ით.

მუხლი 2.

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ. მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_n = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

- ა) C_n - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
- ბ) I_{MG} – არის აბაშის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,47- ს;
- გ) I_{TL} – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1- ს;
- დ) C – არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;
- ე) K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა შეადგენს 140-ს.

მუხლი 3.

დადგენილების დანართის მე-2 მუხლის მიხედვით ქ. აბაშაში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_n
0,47	1	0,24	140	15,79

მუხლი 4.

- ა) აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ამ დადგენილების დანართის მე-3 მუხლის შესაბამისად დადგენილი ფასის - 50%-ის ოდენობით და შეადგენს - 7,90 ლარს;
- ბ) აბაშის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში ამ დადგენილების დანართის მე-3 მუხლში დადგენილი ფასის - 30%-ის ოდენობით და შეადგენს - 4,74 ლარს.

მუხლი 5.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი, თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი, სოფლებში და დასახლებათა შორის არეალებში არსებული მიწების ჩათვლით,

განისაზღვროს, ქ. აბაშაში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 100%-ის ოდენობით და შეადგენს 15,79 ლარს.

მუხლი 6.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი, აბაშა-მარტვილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი, სოფლებში და დასახლებათა შორის არეალებში არსებული მიწის ჩათვლით, განისაზღვროს ქ. აბაშაში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 60%-ის ოდენობით და შეადგენს 9,47 ლარს.

მუხლი 7.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი, აბაშა-გაღმა კოდორი-გულეიკარი-ჯაპანის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), მიწის ნორმატიული ფასი, სოფლებში და დასახლებათა შორის არეალებში არსებული მიწის ჩათვლით, განისაზღვროს, ქ. აბაშაში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და შეადგენს 7.90 ლარს.